**CALL FOR PROJECT IDEAS**

The United Nations Development Programme (UNDP), within the framework of the Global Environment Facility (GEF) Small Grants Programme (SGP) in Georgia and under Operational Phase 8 (OP8), announces a Call for Project Ideas in line with the Country Programme Strategy in the following strategic directions:

- Community-based conservation of threatened ecosystems and species
- Sustainable agriculture and fisheries contributing to food security
- Access to low-carbon energy and associated co-benefits
- Catalyzing sustainable urban solutions

Detailed information is provided in the document "SGP Country Programme Strategy for Georgia" (attached).

A key objective of UNDP/GEF Small Grant Programme under OP8 is to engage local non-governmental organizations (NGOs) and community-based organizations (CBOs) in landscape/seascape management approaches. The programme aims to enhance access to knowledge and information, strengthen capacities through learning-by-doing and skills development, and provide technical and financial support for interventions that improve livelihoods and socio-economic conditions while generating global environmental benefits.

During OP8, the following priority landscapes/seascapes are identified in Georgia (see map below):

1. Greater Caucasus Mountains (>1,200 meters above sea level)
2. Lesser Caucasus Mountains (>1,200 meters above sea level)
3. Black Sea coast (<100 meters above sea level) and marine waters up to 10 km offshore
4. Semi-arid zone of Georgia




Up to 30% of grant resources may be allocated outside these target landscapes. Priority will be given to projects that:

- Promote multi-stakeholder dialogue among civil society, government, and private sector
- Strengthen social inclusion, including engagement of women, youth, and vulnerable groups
- Enhance access to practical environmental knowledge

Eligible applicants should be legally registered NGOs and CBOs operating in Georgia[1].

The maximum grant amount per project is USD 50,000[2], and the project duration should not exceed two years. A mandatory co-financing requirement of 1:1 applies (cash or in-kind).

At the initial stage, interested organizations are invited to submit short project concepts (maximum 2 pages), including:

- Project relevance (what environmental problem project is addressing), goals and objectives (including alignment with the Country Programme Strategy)
- Expected environmental results and impact (including contribution to global environmental benefits)
- Sustainability, innovation and replicability
- Implementation methodology (including innovative approaches, where applicable)
- Estimated budget and co-financing sources, duration (the maximum duration of the project should not exceed 2 years)

Applicants must clearly indicate the relevant strategic direction(s) and geographic area of intervention. The completed Initial Screening Questionnaire (Annex 1) must also be attached.

Each organization may submit up to two project concepts in Georgian or English. Applications must be submitted electronically to: ana.shubitidze@undp.org no later than June 19, 2026, 18:00 (Tbilisi time). Late submissions will not be considered.

Organizations whose concepts are approved by National Steering Committee will be invited to submit one full project proposal in July 2026.

To support applicants, SGP Georgia will organize weekly online consultations via Zoom on May 25 and June 4, 5, 11, 12 and 15 at 15:00 (Tbilisi time). Interested participants are requested to notify the National Coordinator in advance.

For additional information, please contact:
Ana Shubitidze
National Coordinator
GEF Small Grants Programme in Georgia
Email: ana.shubitidze@undp.org

---

[1] National noncommercial (not-for-profit) legal entities, without foreign founders and /or not affiliated with international NGOs/Foundations

[2] No minimum grant amount is defined

Official Use Only

**მოწვევა საპროექტო იდეების წარსადგენად**

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში აცხადებს საგრანტო კონკურსს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით:

- საფრთხის წინაშე მყოფი ეკოსისტემებისა და სახეობების თემზე დაფუძნებული კონსერვაცია
- მდგრადი სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა, რომლებიც ხელს უწყობს სურსათის უსაფრთხოებას
- დაბალნახშირბადიან ენერგიაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მასთან დაკავშირებული თანმხლები სარგებელი
- მდგრადი ურბანული გადაწყვეტილებების ხელშეწყობა

დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დოკუმენტში „მცირე გრანტების პროგრამის სტრატეგია საქართველოში“ (თანდართულია).

მე-8 სამუშაო ფაზის ფარგლებში, მცირე გრანტების პროგრამის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს ჩართოს არასამთავრობო ორგანიზაციები და თემზე დაფუძნებული ორგანიზაციები სახმელეთო /საზღვაო ლანდშაფტების მართვის საკითხებში; უზრუნველყოს მათთვის ცოდნასა და ინფორმაციაზე წვდომა; გააძლიეროს მათი შესაძლებლობები პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებით და უნარების განვითარებით; ასევე მიაწოდოს ტექნიკური და საგრანტო მხარდაჭერა იმ ინიციატივებისთვის რომლებიც აუმჯობესებს კეთილდღეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს და ქმნის გლობალურ გარემოსდაცვით სარგებელს.

საქართველომ შეარჩია შემდეგი სამიზნე ლანდშაფტები, რომლის ფარგლებშიც მოხდება სათემო ინიციატივების მხარდაჭერა. იხილეთ დეტალური რუკა ქვევით:

1. დიდი კავკასიონის მაღალმთიანი ზონა (ზღვის დონიდან 1,200 მეტრზე მაღლა);
2. მცირე კავკასიონის მაღალმთიანი ზონა (ზღვის დონიდან 1,200 მეტრზე მაღლა);
3. შავი ზღვის სანაპირო ზონა (ზღვის დონიდან 100 მეტრამდე) და ზღვის აკვატორია სანაპიროდან 10 კმ-ის ფარგლებში;
4. საქართველოს სემიარიდული ზონა.




მე-8 სამუშაო ფაზის ფარგლებში შესაძლებელია საგრანტო რესურსების 30%-მდე გამოყენება შერჩეული სამიზნე ლანდშაფტის ფარგლებს გარეთ ტერიტორიებზე, სადაც პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებიც:

- ხელს უწყობს მრავალმხრივ დიალოგს სამოქალაქო, სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის გარემოსდაცვითი მმართველობის გასაუმჯობესებლად;
- უზრუნველყოფს სოციალური ინკლუზიის გაძლიერებას, მათ შორის ქალების, ახალგაზრდებისა და სხვა ჯგუფების აქტიურ ჩართულობას გარემოსდაცვით საქმიანობაში;
- გაზრდის მოქალაქეთათვის პრაქტიკული გარემოსდაცვითი ცოდნის მიღებაზე ხელმისაწვდომობას.

საგრანტო კონკურში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ და კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ არასამთავრობო და თემზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს[3].

მაქსიმალური თანხა, რომელიც შეიძლება ერთმა ორგანიზაციამ მოითხოვოს, არ უნდა აღემატებოდეს 50,000 აშშ დოლარს[4], ხოლო პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა სცილდებოდეს ორ წელიწადს. პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა თანადაფინანსების უზრუნველყოფა 1:1 თანაფარდობით (თანხობრივი ან/და თანამონაწილეობრივი).

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ მოკლე საპროექტო იდეები (არა უმეტეს 2 გვერდისა), რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- პროექტის აქტუალურობა (რომელი გარემოსდაცვითი პრობლემის მოგვარებას შეეხება პროექტი), მიზნები და ამოცანები რაც შესაბამისობაში უნდა იყოს პრორგამის სტრატეგიასთან;
- მოსალოდნელი გარემოსდაცვითი შედეგები და ზეგავლენა;
- მდგრადობა, ინოვაციურობა და განმეორებადობა;
- განხორციელების მეთოდოლოგია
- სავარაუდო ბიუჯეტი და თანადაფინანსების წყაროები, ხანგრძლივობა (პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს)

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, თუ რომელ სტრატეგიულ მიმართულებას/ებს განეკუთვნება პროექტი და პროექტის მოქმედების არეალი. ასევე თან ერთოდეს შევსებული წინასწარი კითხვარი - დანართი 1.

ერთ ორგანიზაციას შეუძლია წარმოადგინოს არა უმეტეს ორი მოკლე საპროექტო იდეა ქართულ ან ინგლისურ ენაზე. განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნას ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: ana.shubitidze@undp.org არა უგვიანეს 2026 წლის 19 ივნისისა 18:00 საათამდე. დაგვიანებული განაცხადები არ განიხილება.

ის ორგანიზაციები, რომელთა მოკლე საპროექტო იდეა დაიმსახურებს მოწონებას ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, შეძლებენ შემოიტანონ ერთი სრული საპროექტო წინადადება ქართულ ან ინგლისურ ენაზე 2026 წლის ივლისში.

მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში უზრუნველყოფს ყოველკვირეულ საკონსულტაციო შეხვედრებს საგრანტო კონკურსში მონაწილე დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის. საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართება დისტანციურ რეჟიმში 2026 წლის 25 მაისს და 4, 5, 11, 12 და 15 ივნისს თბილისის დროით 15:00-დან Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით. საკონსულტაციო შეხვედრაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ წინასწარ აცნობოთ პროექტის ეროვნულ კოორდინატორს.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ:

ანა შუბითიძე
პროგრამის ეროვნული კოორდინატორი
გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში
ელ-ფოსტა: ana.shubitidze@undp.org

[3] ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომელთაც არა აქვთ წარმომადგენლობები საზღვარგარეთ და არ წარმოადგენენ საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და ფონდების ფილიალებს საქართველოში.

[4] მინიმალური გრანტის ოდენობა განსაზღვრული არ არის.